

პრაქტიკული კვლევა -----	1
შესავალი -----	1
თავი I -----	2
კვლევის მიზანი და ამოცანები -----	2
1.1 მოკლე ინფორმაცია მკვლევარი მასწავლებლების და საკვლევი ობიექტების შესახებ--	2
1.2 საკვლევი საკითხის აქტუალობა -----	2
1.3 განმავითარებელი შეფასება და მასთან დაკავშირებული სირთულეები-----	3
1.4 კვლევის მიზანი -----	3
1.5 საკვლევი კითხვები -----	4
თავი II	
პრაქტიკული კვლევის არსი -----	4
თავი III	
ლიტერატურის მიმოხილვა-ანალიზი -----	4
თავი IV მეთოდოლოგია -----	4
4.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი -----	9
4.2 მონაცემთა შეგროვება -----	9
4.3 მონაცემთა დამუშავება ანალიზი -----	10
4.4 კვლევის ვადები -----	24
თავი V ინტერვენციები	
5.1 ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელება -----	25
5.2 ინტერვენციის შეფასების მეთოდები -----	28
5.3 ინტერვენციების შედეგები -----	28
თავი VI კვლევის შედეგები -----	28
თავი VII მიგნებები, რეკომენდაციები, ნაკლოვანებები -----	29
გამოყენებული ლიტერატურა -----	30
დანართი 1 -----	32
დანართი 2 -----	32
დანართი 3 -----	34
დანართი 4 -----	34
დანართი 5 -----	35
დანართი 6 -----	35
დანართი 7 -----	37
დანართი 8 -----	38

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს თბილისის კერძო სკოლა „ინტელექტის“ მასწავლებლის მიერ ჩატარებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს.

ნაშრომი შედგება შვიდი თავისგან:

I კვლევის მიზანი და ამოცანები;

II პრაქტიკული კვლევის არსი;

III ლიტერატურის მიმოხილვა-ანალიზი;

IV მეთოდოლოგია;

V ინტერვენციების აღწერა, დაგეგმვა-განხორციელება, შეფასება;

VI კვლევის შედეგები;

VII კვლევის მიგნებები, რეკომენდაციები, ნაკლოვანებები.

თავი I კვლევის მიზანი და ამოცანები

1.1 მოკლე ინფორმაცია მკვლევარი მასწავლებლისა და საკვლევო ობიექტების შესახებ.

კვლევის ჩატარება გადაწყვიტე თბილისის კერძო სკოლა „ინტელექტი“-ს ინგლისურის ენის მასწავლებელმა ირინე ნოზაძემ.

კვლევის ობიექტად ავირჩიე თბილისის კერძო სკოლა „ინტელექტის“ II კლასის მოსწავლეები (პედაგოგი: ირინე ნოზაძე)

1.2. საკვლევო საკითხის აქტუალობა

„არასოდეს აღზარდოთ ბავშვები მკაცრი და ძალადობრივი მეთოდებით.

შესთავაზეთ ის, რაც მოსწონთ, ამ გზით თქვენ შეძლებთ მათში განსაკუთრებული ნიჭის აღმოჩენას“

/ პლატონი /

„ყოფაქცევასთან დაკავშირებული პრობლემები შემცირდება, თუ მოსწავლეებს მათი უნარების შესაბამისი და მათთვის საინტერესო აქტივობებით დავტვირთავთ“

/ ბროფი & გული / ბროფი & გული

ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში, კლასის მართვის საკითხებთან დაკავშირებით იწერება უამრავი სტატია და აქტიურად იქმნება სხვადასხვა გზამკვლევები, მიუხედავად ამისა, პრობლემა მაინც აქტუალურია. ამ საკითხზე პედაგოგების, განათლების ექსპერტების და საზოგადოების აზრი იყოფა.

ნაწილი მიიჩნევს, რომ წარმატებულ მასწავლებლებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ წინასწარ შედგენილი სამოქმედო გეგმა კლასის მართვის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით. მეორე ნაწილი კი უპირატესობას იმპროვიზაციას ანიჭებს და მიიჩნევს, რომ წინასწარ შედგენილი გეგმა არაეფექტურია და არ იძლევა მოქნილობის საშუალებას. თუმცა, დღეს არ არსებობს საერთო აზრი იმის შესახებ, კლასის მართვის რომელი სტრატეგიაა განსაკუთრებით ეფექტური, რომლის მეშვეობითაც სამუდამოდ მოგვარდებოდა მოსწავლეთა აკადემიური თუ დისციპლინური პრობლემები.

ეფექტური მასწავლებელი ახერხებს თავიდან აიცილოს დისციპლინასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა იმით, რომ მოსწავლეებს ინტერესის მოდუნების საშუალებას არ აძლევს: ის ყოველთვის მოსწავლეთათვის საინტერესო მასალასა და აქტივობებს იყენებს.

კლასში დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემები მხოლოდ აკადემიურ საკითხებს, მათ შორის მოსწავლეთა საგნით დაინტერესებას არ უკავშირდება. მოსწავლეებს შეიძლება სახლში ჰქონდეთ პრობლემები, რომელიც შემდგომში სკოლაში გადმოაქვთ, მათ შეიძლება თანატოლებთან ჰქონდეთ პრობლემური ურთიერთობები, რომლებიც თავს იჩენს არა მხოლოდ შესვენებაზე, არამედ გაკვეთილზეც; ასევე, მოსწავლეების დისციპლინის განმასზვრელი შეიძლება მათი განწყობის ცვლილებაც იყოს.

წლების განმავლობაში დაგროვდა ფსიქოლოგების და განათლების ექსპერტების, პედაგოგების მიერ შემუშავებული კლასის მართვის არაერთი ეფექტური და საინტერესო მოდელი, თუმცა, კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება საგაკვეთილო პრაქტიკაში აღნიშნული მეთოდების გამოყენების საკითხი. სწორედ ამიტომ, ჩემთვის პრიორიტეტულია, პრაქტიკული კვლევის საშუალებით შევისწავლოთ ამ მიმართულებით საკუთარ გაკვეთილზე (ინგლისური) არსებული პრობლემები თბილისის კერძო სკოლა „ინტელექტში“.

საკვლევ საკითხს წარმოადგენდა „კლასის მართვის პრობლემების შესწავლა II კლასში“. სასწავლო წლის დასაწყისში კლასში იყო რთული ვითარება, რაც გამოწვეული იყო რამდენიმე მოსწავლის მიერ ისეთი რთული/პრობლემური ქცევებით, როგორცაა: გაკვეთილის დროს უნებართვოდ ადგომა და სიარული, მასწავლებლის მიერ ინსტრუქციის მიცემის დროს ტირილი, ყვირილი, სასკოლო წივთების გადაადგება და მიმოზნევა კლასში, ტანტრუმის მოწყობა (იატაკზე გაწოლა და ტირილი). ასევე ვლინდებოდა როგორც ვერბალური, ისე ფიზიკური აგრესიული ქცევებიც, რაც გამოიხატებოდა შემდეგნაირად: დამამცირებელი კომენტარები, მიმართვები ერთმანეთისა და თანაკლასელების მიმართ, მუქარა, ყვირილი, ხელის ან ფეხის ჩარტყმა ერთმანეთისათვის.

კლასში მოსწავლეთა ზოგადი აკადემიური მოსწრებაც არათანაბარი იყო ინგლისურ ენაში, მე-2 კლასში შემსვლელმა მასწავლებელმა გადავწყვიტე სწავლების ამ საფეხურზე ჩამეტარებინა კვლევა, დამედგინა ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზები და გამეზიარებინა კოლეგებისთვის, თუ როგორ შეიძლება მათი აღმოფხვრა.

1.3 კლასის მართვა და მასთან დაკავშირებული სირთულეები

სწავლა-სწავლების არა მარტო დაწყებით საფეხურზე, არამედ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ყველა კლასში კლასის მართვა ეფექტური სწავლების განუყოფელ კომპონენტად ითვლება.

კათედრის სხდომაზე არაერთხელ გვისაუბრია, რომ თუ მასწავლებელს არ აქვს უნარი, გაადვივოს თანამშრომლობითი დამოკიდებულება მოსწავლეებში და ჩართოს ისინი სხვადასხვა აქტოვობაში, ნაკლებ სავარაუდოა რომ სწავლის შედეგი ეფექტური აღმოჩნდეს. ამასთანვე, კლასის ცუდი მართვა იწვევს დროის ფუჭ ხარჯვას, ამცირებს დროს, რომელსაც მოსწავლეები უშუალოდ დავალების შესრულებაზე ხარჯავენ. კლასის არასწორი მართვის პირობებში სასწავლო გარემო არ არის ისეთი ხარისხიანი, როგორც უნდა იყოს.

გადავწყვიტე, უფრო ღრმად შემესწავლა ეს საკითხი, მომეძებნა პრობლემის გადაჭრის გზები და დამენერგა პრაქტიკაში. ეს გახდა ჩემი პრაქტიკული კვლევის მიზანი.

1.4 კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენდა II კლასის მართვასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა და მისი მოგვარებისათვის სათანადო ინტერვენციის განხორციელება.

1.5 საკვლევი კითხვები

- ❖ კლასის მართვის საკითხების შესახებ არსებული ცოდნის გაღრმავება და ახალი ცოდნის გენერირება, შემდგომი გამოყენება და გავრცელება;
- ❖ სწავლების მეთოდების მრავალფეროვნების გაზრდა (ინგლისური ენის) გაკვეთილზე
- ❖ კლასში ქცევის მართვის მექანიზმების დახვეწა, რაც გულისხმობს მოსწავლეების დისციპლინის გაუმჯობესებას მათი უფლება-მოვალეობების გააზრება-გაცნობიერების ხელშეწყობის გზით.
- ❖ მშობელთა ჩართულობა მათი შვილების განათლების პროცესში.

თავი II პრაქტიკული კვლევის არსი

პრაქტიკული კვლევა არის კვლევის ახალი მიდგომა, რომელშიც სკოლკის მასწავლებლები და მოსწავლეები ჩართულნი არიან კვლევის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და რეაგირების პროცესში.

კვლევა ტარდება სკოლაში და მთავარი პრინციპი პრობლემის იდენტიფიცირებაა და შემდეგ პრობლემის გადაჭრაზე ერთობლივად მუშაობა. ამგვარი კვლევის მიმდინარეობის პროცესში კვლევის სუბიექტები (მასწავლებლები) თავად აქტიურები არიან კვლევის მსვლელობაში ჩართულები და ამ პროცესის განმავლობაში შეისწავლიან მას, აანალიზებენ, შეიმუშავენ გადაჭრის ხერხებს ფდა იწყებენ მოქმედებას. თავდაპირველად უნდა მოხდეს პრობლემის სწორი იდენტიფიცირება, შედაიგეგმოს დაგკვლევისმგეგმის შსაბამისად მოხდეს მეორეული მონაცემების ანალიზი. პრაქტიკული კვლევისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ფაქტორია კვლევაში მონაწილეობდნენ ის ადამიანები, რომლებსაც პრობლემა უშუალოდ ეება და დაინტრესებულნი იყვნენ არსებული პრობლემის მოგვარებით.

თავი III ლიტერატურის მიმოხილვა

კლასის მართვის ცნება განათლების, სწავლისა და სწავლების ფსიქოლოგიაში ორგვარი, ვიწრო და ფართო გაგებით განიხილება. კლასის მართვის ვიწრო გაგება ძირითად აქცენტს მოსწავლეთა ქცევის ფორმებსა და დისციპლინაზე აკეთებს. ფართო გაგებით კი კლასის მართვა სასწავლო პროცესისა და გარემოს ჰარმონიულად კოორდინაციას და მოსწავლეთა ქცევის ტიპების მიუხედავად, სასწავლო პროცესში მაქსიმალური წარმატების მიღწევას გულისხმობს (ნეფარიძე, 2012

მოსწავლეთა დისციპლინის საკითხი ყოველთვის იყო და არის სკოლის მასწავლებელთა ერთ-ერთი მთავარი პრობლემა. ეს სირთულე სულ უფრო და უფრო მეტად ხდება სასკოლო საზოგადოების სერიოზული საზრუნავი. წლების განმავლობაში დაგროვდა ფსიქოლოგების და

განათლების ექსპერტების, პედაგოგების მიერ შემუშავებული კლასის მართვის არაერთი ეფექტური და საინტერესო მოდელი, თუმცა, კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება საგაკვეთილო პრაქტიკაში აღნიშნული მეთოდების გამოყენების საკითხი.

ჯოანა ლემლექი წერს: „მართვა კლასის ცხოვრების ორკესტრირება: სასწავლო პროგრამის დაგეგმვა, პროცედურებისა და რესურსების ორგანიზება, ეფექტურობის ასამაღლებლად შესაბამისი გარემოს შექმნა, მოსწავლის წინსვლის მეთვალყურეობა, მოსალოდნელი სირთულეების წინასწარ განჭვრეტა“ (ლემლექი 2010).

კლასის მართვის საკითხებზე არაერთი კვლევა ჩატარებულა. ამ მიმართულებით პირველი ფართომასშტაბიანი კვლევა ჩატარა ჯაკობ ქოუნინმა (1970), რომელმაც შეისწავლა ჩატარებული გაკვეთილის 49 ვიდეო ჩანაწერი და კვლევის შედეგად გამოჰყო კლასის ეფექტური მართვის ოთხი ძირითადი ფაქტორი: (1) გონებრივი სიფხიზლე, (2) თანმიმდევრულობა და ენერგიულობა გაკვეთილის ახსნისას, (3) მოსწავლეთათვის კარგად ახსნა იმისა, თუ როგორ მოიქცნენ სხვადასხვა დროს, (4) მოსწავლეთა მიერ კლასში ადგილების ხშირი ცვლა (მარზანო, მარზანო და ფიქერინგი 2009:6).

კლასის მართვის შესახებ ჩატარებული კვლევების განხილვისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს 1976 წელი, როდესაც გამოქვეყნდა ბროფისა და ევერტსონის კვლევის ანგარიში, წიგნი სახელწოდებით „რას გვასწავლის სწავლების პროცესი: განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომა“. აღნიშნული კვლევისთვის შეირჩა დაწყებითი კლასების 30 მასწავლებელი, რომელთა მოსწავლეებს მაღალი აკადემიური მოსწრება ჰქონდათ და 38 მასწავლებელი, რომელთა მოსწავლეებს საშუალო აკადემიური მოსწრება ჰქონდათ. კვლევამ დაადასტურა, რომ კლასის ეფექტური მართვა აღმოჩნდა მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრების, დისციპლინირებულობისა და შესაბამისად მასწავლებლის წარმატებულობის (მარზანო, მარზანო და ფიქერინგი 2009:7).

კიდევ ერთი კვლევა რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურის 68 მოსწავლის მონაწილეობით ჩატარდა და რომლის ავტორიც არის შითსი (1994), ადასტურებს, რომ მოსწავლეთა 84 % - ის აზრით შეიძლებოდა დისციპლინური პორბლემების თავიდან აცილება იმ შემთხვევაში თუ მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა უკეთესი იქნებოდა (მარზანო და ფიქერინგი 2009:54).

მასწავლებლის მოსწავლეებთან ურთიერთობის დინამიკის ერთ-ერთი საუკეთესო კვლევა თეო ვუბელსმა და მისმა კოლეგებმა ჩაატარეს და მოახდინეს იმ ორი განზომილების იდენტიფიკაცია რომელიც განსაზღვრავს მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობას. პირველი განზომილებაა დომინირება, ხოლო მეორე თანამშრომლობა. დომინანტობა გულისხმობს ხელმძღვანელობას როგორც სწავლების შინაარსობრივ ნაწილში, ისე კლასში მოსწავლეთა ქცევის ნორმების რეგულირებისას. თუმცა მასწავლებლის ძლიერ დომინანტურობას შეიძლება ნეგატიური შედეგი მოჰყვეს. ასე რომ მოსწავლეთა და მასწავლებლის ურთიერთობაში არც ზედმეტი დომინანტურობაა ოპტიმალური გამოსავალი და არც მოსწავლეთა სრული მორჩილება. თანამშრომლობის მაღალ დონეს ახასიათებს საჭიროებებისა და მოსაზრებების გათვალისწინება, სურვილი, რომ იმუშაო გუნდის ფარგლებში. მაგრამ თუ თანამშრომლობის დონემ ექსტრემალურ ხარისხს მიაღწია, ადამიანებს აღარ შეუძლიათ დამოუკიდებლად ქმედება და დამოკიდებულნი ხდებიან ჯგუფის სხვა წევრებზე. მასწავლებლისა და მოსწავლეთა ოპტიმალური ურთიერთობა შეიძლება ზომიერი დომინანტურობისა და თანამშრომლობის პრინციპებს ემყარებოდეს (მარზანო, მარზანო და ფიქერინგი 2009:55).

განათლების ექსპერტი სიმონ ჯანაშია მიიჩნევს, რომ ტერმინი „კლასის მართვა“ აღწერს პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს გაკვეთილების შეფერხებების გარეშე წარმართვას. ეს ასევე გულისხმობს მოსწავლის ხელისშემშლელი ქცევების პრევენციას და მიიჩნევს, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გაკვეთილის ნორმალურ მსვლელობას განაპირობებს, არის კლასში ქცევის წესებისა და პროცედურების დადგენა, რომელიც მასწავლებელმა წლის დასაწყისშივე მოსწავლეებთან ერთად უნდა შეიმუშაოს. „წესები უფრო ფორმალური, წერილობითი ხასიათისაა და ისეთი ტიპის ფორმულირებებს მოიცავს, რომლის წყალობით მოსწავლემ იცის, თუ რის გაკეთების უფლება აქვს და რისი - არა. პროცედურა უფრო არაფორმალური ხასიათისაა და კონკრეტული წესების განხორციელების გზებია. სასურველია თვითონ მოსწავლეები იყვნენ ჩართულნი წესების შედგენაში, რადგან მათ უვითარდებათ პასუხისმგებლობისა და საკუთრების შეგრძნება.“ - განმარტავს ავტორი და მოჰყავს მაგალითი, რომ მოსწავლეებმა და მასწავლებელმა შეიძლება შექმნან „საკლასო კონსტიტუცია“, კლასში ქცევის წესების და პროცედურების ერთობლიობა. საკლასო კონსტიტუციის შედგენის დროს მოსწავლეებს თავისუფლად უნდა შეეძლოთ გამოთქვან თავიანთი შეხედულებები, თუ რა არის მათი აზრით მოსწავლეებისათვის მისაღები ქცევები და იმსჯელონ კლასის წესებსა და პროცედურებზე, კლასის წესების შესრულების დადებით და დარღვევის უარყოფით შედეგებზე. სასურველია, რომ „საკლასო კონსტიტუცია“ კედელზე თვალსაჩინო ადგილას იყოს გამოკრული და მისი დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეებს

მივუთითოთ, თუ კონსტიტუციის რომელი პუნქტი დაირღვა. ამით მასწავლებელი შეძლებს ზრუნვას კლასის წესების დაცვაზე (ჯანაშია 2008).

ქვეყნის წესების შემუშავებისას და მათი დაცვისას გასათვალისწინებელია განვითარების რა საფეხურზე იმყოფებიან მოსწავლეები, მათი ასაკობრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე უნდა წყვეტდეს პედაგოგი რა ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს წესები და რა სტრატეგიები იქნება შედეგიანი (ჯაფარიძე 2005:28).

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია საგაკვეთილო პროცესის კარგი დასაწყისი, როდესაც მასწავლებელი ერთსა და იმავე მოსწავლეს ერთ დღეს რამდენიმე გაკვეთილს უტარებს ან თუ მოსწავლეებს ერთსა და იმავე კლასში უტარდებათ გაკვეთილი. სასწავლო წესები უნდა ეხებოდეს არამარტო დღის განრიგს, არამედ საგაკვეთილო პროცესსაც. (მარზანო, მარზანო და ფიქერინგი 2009:25).

კლასის მართვის საკითხების განხილვისას გასათვალისწინებელია, რომ ბავშვის წარმოდგენებს, თუ რა არის წარმატება და როგორ უნდა მოიქცნენ, რომ წარმატებული იყვნენ, მასწავლებლები, მშობლები და ბავშვზე მზრუნველი სხვა მოზრდილი ადამიანები აყალიბებენ. ინფორმაცია სწავლისა და წარმატების შესახებ ბავშვებს მშობლებთან და მასწავლებლებთან ურთიერთობისას მიეწოდებათ. ამგვარად ბავშვების სწავლის მოტივაცია, ანუ სწავლის პროცესიდან სიამოვნების მიღება, განათლებაში ჩადებული ინვესტიციაა, რომელიც მასწავლებლის და მშობლების გარეშე ვერ შეიქმნება (კაზდინი,1998)

სწორედ ამიტომ, მასწავლებლებს ბავშვის სწავლის მოტივაციის გაზრდაზე პირდაპირ შეუძლიათ იმოქმედონ ეფექტიანად წარმართული მეცადინეობების საშუალებით და შემოვლითი გზით, ანუ მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდებით. მასწავლებლები კარგად უნდა იცნობდნენ მოტივაციის თეორიას, რათა სწავლების პროცესი ეფექტიანად წარმართონ და მშობლებს ის სტრატეგიები გააცნონ, რომელთა განხორციელება მათი შვილების სწავლის მოტივაციას გაზრდის (კაზდინი, 1998)

ფსიქოლოგები მოტივაციის ორ ფორმას გამოარჩევენ, გარეგანი და შინაგანი მოტივაცია. გარეგანი მოტივაცია კონკრეტული ქმედებისკენ სწრაფვაა, რომელიც წახალისებულია გარე ფაქტორებით. ეს შეიძლება იყოს ჯილდო ან აღიარების სურვილი. შინაგანი მოტივაცია კი

კონკრეტული ქმედებისკენ სწრაფვას, რომელიც ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და რაიმეს აღმოჩენის სურვილით არის ნაკარნახევი (ტყემალაძე და სხვები 2008:5).

მოტივაციის გარე და შინაგან ფაქტორებს სხვადასხვაგვარ მნიშვნელობას ანიჭებენ ბავშვის აკადემიურ მოსწრებასთან მიმართებაში. მაგალითად „განმტკიცების თეორია“ ბიჰევიორიზმის თეორიიდან გამომდინარეობს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დასჯასა და დასაჩუქრებას. რაც ბავშვების ქცევაზე ზემოქმედებისა და მართვის ქმედითი ინსტრუმენტი იყო. მასწავლებლები ასევე იყენებენ მოტივაციის ასამაღლებლად ისეთ გარე ფაქტორებს, როგორცაა შექება და მაღალი ნიშნები. ყოველივე ეს ბავშვის სასურველი ქცევის მოდელის მისაღებად ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ როგორც დასჯის ასევე წახალისების ეფექტიანობა სხვადასხვაგვარია, რასაც ხშირად ბავშვის სოციალური კულტურული წარმომავლობა და პიროვნული თვისებები განაპირობებს (კაზდინი, 1998).

შინაგანი მოტივაციის ქონა აკადემიურ მოსწრებაზე ძირითადად დადებით გავლენას ახდენს. მაგრამ მესამე კლასიდან შინაგანი ინტერესები კლებულობს და მოსწავლეები გარე ფაქტორებზე ხდებიან დამოკიდებულნი. ზუსტად აქ არის მასწავლებლის როლი მნიშვნელოვანი და მან უნდა იზრუნოს შინაგანი მოტივაციის ამაღლებაზე და ასევე არ დაივიწყოს გარე ფაქტორების მნიშვნელოვნობაც (ტყემალაძე და სხვები 2008:5).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსწავლის მოტივაციის ამაღლებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პედაგოგს. ამიტომ როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი მოტივაციის გაუმჯობესებაზე კომპლექსური მუშაობა ზრდის მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას და სასწავლო პროცესი ბევრად სასიამოვნოდ და სახალისოდ წარიმართება (ტყემალაძე და სხვები 2008:3).

მშობლები და მასწავლებლები ყველაზე დიდ გავლენას ახდენენ ბავშვების სწავლის პროცესზე. სწავლის პროცესი მაშინ შედგება როდესაც ბავშვები სიამოვნებით და ხალისით სწავლობენ. მშობლებს და მასწავლებლებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ამ პროცესის წარმატებით წარმართვას. მათ შესწევთ ძალა ბავშვებში გაზარდონ შინაგანი მოტივაცია. როდესაც მშობელიც და მასწავლებელიც ბავშვებს გამოწვევის შემცველ, მაგრამ ისეთ დავალებებსა და სასწავლო მასალას აწვდიან, რომელთა დაძლევა და ათვისება ხელს უწყობს ბავშვებში კომპეტენტურობის შეგრძნების ჩამოყალიბებას. მშობლებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ ბავშვებს მზრუნველი და ერთმანეთის პატივისცემაზე აგებული სასწავლო გარემო შეუქმნან, რაც მათ მოზრდილ ადამიანებთან და თანატოლებთან ერთიანობისა და ერთობის შეგრძნებას ჩამოუყალიბებს (ვაისი, კრაიდერი 2010).

თავი IV მეთოდოლოგია

კვლევის დროს გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები: საკვლევ კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოვიყენე, როგორც თვისობრივი (შერჩევითი დაკვირვება) ისე რაოდენობრივი მეთოდები (ზეპირი გამოკითხვა)

4.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფი - თბილისის კერძო სკოლა „ინტელექტის“ მეორე კლასის მოსწავლეები. სკოლაში არის ორი მეორე კლასი . კვლევა განხორციელდა მეორე (ა) კლასში, 13 მოსწავლე.

4.2 მონაცემების შეგროვება

მონაცემთა შეგროვება განხორციელდა შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები, ფოკუს ჯგუფები, ინტერვიუები, დაკვირვება.

4.3 მონაცემთა დამუშავება ანალიზი

თვისობრივმა კვლევის ინსტრუმენტმა საშუალება მომცა სიღრმისეულად გამომეკვლია ჩემი ინტერესთა ჯგუფების (მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები)დამოკიდებულება და პოზიცია საკვლევ საკითხთან დაკავშირებით. გამომეკვითა ტენდენციები, პრობლემური საკითხები.

თვისობრივი კვლევისას გამოყენებული იქნა შემდეგი ინსტრუმენტები:

- ✓ პირისპირ/ჩაღრმავებული ინტერვიუ
- ✓ ფოკუს ჯგუფი
- ✓ დაკვირვება

კვლევის პირველ ეტაპზე , საკვლევი საკითხის შესასწავლად , შემუშავდა შესაბამისი კითხვარი, რომელიც შედგებოდა ოთხი კითხვისგან და ფოკუს - ჯგუფის ხანგრძლივობა არ აღემატებოდა ერთ საათს.

ჩატარდა ორი ფოკუს ჯგუფი, რომლებშიც კვლევის ინტერესთა ჯგუფები მონაწილეობდნენ: მშობლები და მოსწავლეები.

ჩაღრმავებული ინტერვიუ

საკითხის სიღრმისეულად შესწავლისათვის შეირჩა ნახევრად სტრუქტურული ჩაღრმავებული ინტერვიუ. მოზადდა სადისკუსიო გეგმა, რომელიც იყო ერთგვარი ინსტრუმენტი ინტერვიუსთვის და დაგეხმარა მონიტორინგი გაგვეწია ინტერვიუს პროცესისთვის, რესპოდენტისგან მიმეღო მაქსიმალური ინფორმაცია ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ. სადისკუსიო გეგმამ ხელი შემიწყო მიმეღო თვისობრივი მონაცემები, რამაც შემდგომში საშუალება მომცა შემედარებინა სხვადასხვა ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია.

ჩაღრმავებული ინტერვიუები წარიმართა ღია კითხვებზე დაყრდნობით და ინტერვიუს ხანგრძლივობა იყო 15-20 წუთი.

კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, საინტერესო იყო გამეგო ინგლისური ენის სწავლა რამდენად საინტერესოა მოსწავლეებისათვის და რა იწვევს მათ დემოტივაციას და უარყოფით ქცევას საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას.

ფოკუს ჯგუფმა აჩვენა, რომ მოსწავლეების ქცევა განპირობებულია გაკვეთილის მიმართ დაბალი ინტერესით.

ინგლისური ენის საგანი ძალიან რთულად და უინტერესოდ მიაჩნიათ და თვლიან, რომ მათი სახელმძღვანელოს მოსმენის ატივობების დროს მოსმენის ხმა აღიზიანებთ. მრავალფეროვანი აქტივობების შემთხვევაში, რომლებიც მათ შესაძლებლობებზე იქნება მორგებული შეიძლება დაინტერესდნენ კიდევ გაკვეთილით და მოუსმინონ მასწავლებელს.

დროის უქონლობის გამო, მშობლები ვერ იბარებენ შვილებისგან გაკვეთილებს, რაც შესაძლოა ხელს უწყობდეს მათ სიზარმაცეს და დემოტივაციას.

ფოკუს ჯგუფის შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავე კითხვარი, რომელიც უშუალოდ ინგლისური ენის გაკვეთილებით მოსწავლეთა დაინტერესებას და ამ საგნების სწავლების მოტივაციას აფასებდა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო მეორე კლასის 13 მოსწველემ. კითხვაზე, თუ როგორი ურთიერთობა აქვს მოსწავლეებს ინგლისურის მასწავლებელთან, გამოკითხული მეორე კლასის 13 მოსწავლემ აღნიშნა, რომ მასწავლებელთან ნორმალური ურთიერთობა აქვთ. ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზით იკვეთება, რომ მოსწავლეების ქცევებიდან გამომდინარე, მასწავლებლები იშვიათად იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს და ჯგუფურ დავალებებს. სწორედ ამიტომ, მოსწავლეებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული გაკვეთილები არის უინტერესო და ერთფეროვანი.

დასკვნა: საკითხის შესწავლამ აჩვენა, რომ საკვლევი კლასის მოსწავლეებისათვის ინგლისური ენის გაკვეთილი არის უინტერესო. მასწავლებლებს საშუალება არ ეძლევა გაამრავალფეროვნოს საგაკვეთილო პროცესი. იმისათვის, რომ მოსწავლეებს დაუბრუნდეთ საგნისადმი ინტერესი (ინგლისური) და მასწავლებელმაც მეტი აქტიურობა გამოიჩინოს გაკვეთილის დაგეგმვისას, საჭიროა სკოლის ყველა ინტერესთა ჯგუფის აქტიური და ერთობლივი მუშაობა. მშობლების, მასწავლებლების და მოსწავლეების ერთობლივი მუშაობის გარეშე შეუძლებელი იქნება რეალური შედეგის მიღწევა. მასწავლებელმა უნდა იცოდეს, როგორი მეთოდი უფრო ნაყოფიერი და როგორ უნდა მიიღოს საშინაო დავალებებით დიდი სარგებელი.

➤ **ფოკუს ჯგუფი მშობლებთან**

ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღო მეორე კლასის მოსწავლეების ათმა მშობელმა.

- ✓ ამ კლასში უბრალოდ ცელქი ბავშვები არიან.
- ✓ მშობლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაცია დარღვეულია
- ✓ თანამედროვე ტექნოლოგიები არ გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში და ეს იწვევს მოსწავლის დაბალ ინტერესს.

როგორც მშობლები აღნიშნავენ , მათ არ რჩებათ დრო შვილების სწავლე-სწავლების პროცესში ჩასართავად. ისინი ამ ფუნქციას მთლიანად სკოლას აკისრებენ და მიიჩნევენ, რომ ეს სკოლის პრეროგატივა უფროა , ვიდრე მშობლის.

დასკვნა: მშობლების გადატვირთული გრაფიკის გამო , დრო არ რჩებათ საკუთარი შვილების სწავლა - სწავლების პროცესში ჩასართავად. მშობლები იმდენად გადართულები არიან ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე, რომ , მხედველობიდან რჩებათ მათი შვილების საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვის საჭიროება და მნიშვნელობა. მშობლების ასეთი ქმედება კი უარყოფითად აისახება მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებასა და ქცევის თავისებურებებზე.

➤ ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან

მშობლებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგებზე დარდნობით, შედგა მოსწავლეთა ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმა, რომელიც შედგებოდა 4 კითხვისგან. ფოკუს ჯგუფის მთავარი მიზანი იყო, დადგვედგინა თუ რა იწვევს ნეგატიურ ქცევას გაკვეთილზე და როგორი ურთიერთობა აქვთ მათ მასწავლებელთან.

პირველი კითხვის დასმისთანავე , თუ როგორი ურთიერთობა აქვთ ბავშვებს მასწავლებელთან , მოსწავლეებმა ძალიან ღიად და გულწრფელად დაიწყეს საუბარი. მსჯელობდნენ სავდასხვა მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესში განხორციელებული აქტივობების , მათი ქმედებების შესახებ. კერძოდ, მოსწავლეების თქმით:

- მასწავლებლები, როდესაც მოსწავლეების დასჯას ცდილობენ , ბავშვები უფრო აგრესიულები ხდებიან, ამბობენ, რომ სწყინთ და ბრაზდებიან.
- „მასწავლებლები ყვირიან და ამდენ ყვირილს და ჩხუბს უბრალოდ აგვიხსნან ,რა უნდათ და ჩვენც გავიგებთ“ - ამბობენ მოსწავლეები
- მოსწავლეები თვლიან, რომ ინგლისურის გაკვეთილი უინტერესოა . „ გვირჩევენია მასწავლებელმა მუზეუმში , ეკსკურსიაზე ან სადმე წაგვიყვანოს“
- „ამდენ კითხვა, სულ კითხვა , მერე ისევ წერა, ისევ კითხვა, მირჩევენია , მასწავლებელმა გვაყურებინოს ინგლისურ ენაზე ზრაპრებს.“
- მოსწავლეების უმრავლესობა მშობლებს გაკვეთილებს არ აზარებს, რადგან არ ცალიათ.

დასკვნა: კომუნიკაციის სიმცირე მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის , მოსწავლეებში შეინიშნება აგრესია და უარყოფითად რეაგირებენ მასწავლებლის ნებისმიერ მითითებებსა და შენიშვნებზე.

დაკვირვება

დაკვირვებამ , რომელიც განხორციელდა სიხშირეების აღმნიშვნელი ცხრილის მეშვეობით, აჩვენა, რომ აღნიშნული ქცევების ფუნქციას/მიზანს ძირითად

შემთხვევაში წარმოადგენდა მათთვის არასასურველი ინსტრუქციის, დავალების თავიდან არიდება, ყურადღების მიქცევა ან გაღიზიანება თანაკლასელების მხრიდან. მათ ქცევაზე ასევე მოქმედებდა დადლილობის ფაქტორიც, ვინაიდან რთულ ქცევებს უფრო მეტად ავლენდნენ 2-3 გაკვეთილის შემდეგ. აღნიშნული ვითარება რა თქმა უნდა აფერხებდა და ხშირს შემთხვევაში შლიდა საგაკვეთილო პროცესს.

დაკვირვების ფურცელი (სიხშირეების ცხრილი)

დღე_ 1.10.2018

დრო_ მე- 6 გაკვეთილი

დამკვირვებელი_ ირინე ნოზაძე

ბავშვის სახელი	პროსოციალური ქცევა (დახმარება, გაზიარება, თავაზიანი მიმართვა)	ანტისოციალური ქცევა (ტკივილის მიყენება, დამამცირებელი მიმართვა, უგულვებელყოფა, ტირილი, ყვირილი, გაკვეთილზე სიარული, ნივთების სროლა- მიმოზნევა)
1	1.1.1.	1.1.1.
2	1.	1.1.1.1.1
3	1.	1.1.1.
4	1.1.	1.1.
5	1.1.1	1.
6	1	1.1.
7	1.1.	1.
8	1.1.	1.

დაკვირვების ფურცელი (სიხშირეების ცხრილი)

დღე_ 2.10.2018

დრო_ პირველი გაკვეთილი

დამკვირვებელი_ ირინე ნოზაძე

ბავშვის სახელი	პროსოციალური ქცევა (დახმარება, გაზიარება, თავაზიანი მიმართვა)	ანტისოციალური ქცევა (ტკივილის მიყენება, დამამცირებელი მიმართვა, უგულვებელყოფა, ტირილი, ყვირილი, გაკვეთილზე სიარული, ნივთების სროლა- მიმოზნევა)
1.	1,1,1	1.1
2.	1.1.	1.1.1.
3.	1.	1.1
4.	1.1.	1
5.	1.1.1	1
6.	1.	1.1
7.	1.1.1	
8.	1.1.	

დაკვირვების ფურცელი (სიხშირეების ცხრილი)

დღე_ 3.10.2018

დრო_ მე-3 გაკვეთილი

დამკვირვებელი_ ირინე ნოზაძე

ბავშვის სახელი	პროსოციალური ქცევა (დახმარება, გაზიარება, თავაზიანი მიმართვა)	ანტისოციალური ქცევა (ტკივილის მიყენება, დამამცირებელი მიმართვა, უგულვებელყოფა, ტირილი, ყვირილი, გაკვეთილზე სიარული, ნივთების სროლა- მიმოზნევა)
i.	1.1.1	1.1.1.1.
2.	1.	1.1.1.1.1.1.1
3.	1.1	1.1.1.1
4.	1	1.1
5.	1.1.	1.1.
6.		1.1.1
7.	1.1.	1.1.

8.	1.	1.
----	----	----

დაკვირვების ფურცელი (სიხშირეების ცხრილი)

დღე_ 4.10.2018

დრო_ მე-4 გაკვეთილი

დამკვირვებელი_ ირინე ნოზაძე

ბავშვის სახელი	პროსოციალური ქცევა (დახმარება, გაზიარება, თავაზიანი მიმართვა)	ანტისოციალური ქცევა (ტკივილის მიყენება, დამამცირებელი მიმართვა, უგულვებელყოფა, ტირილი, ყვირილი, გაკვეთილზე სიარული, ნივთების სროლა- მიმოზნევა)
1	1.1.1	1.1.1.1.1.1
2	1.	1.1.1.1.1.1.1
3		1.1.1.1.
4	1.1	1.1.1
5	1.1.1.	1.1.1

6	1	1.1.1.1.
7	1.1.1.1.1	1.1
8	1.1.	1.1.

დაკვირვების ფურცელი (სიხშირეების ცხრილი)

დღე_ 5.10.2018

დრო_ მე-5 გაკვეთილი

დამკვირვებელი_ ირინე ნოზაძე

ბავშვის სახელი	პროსოციალური ქცევა (დახმარება, გაზიარება, თავაზიანი მიმართვა)	ანტისოციალური ქცევა (ტკივილის მიყენება, დამამცირებელი მიმართვა, უგულვებელყოფა, ტირილი, ყვირილი, გაკვეთილზე სიარული, ნივთების სროლა- მიმოზნევა)
1	1.1.	1.1.1.1.1.1
2	1.	1.1.1.1.1.1.1.
3	1.1.	1.1.1..11

4	1.1.	1.1.11
5	1.1.1	1.1
6		1.1.1.1
7	1.1.1	1.1.
8	1	1.1.1

დაკვირვების ფურცელი (სიხშირეების ცხრილი)

დღე_ 8.10.2018

დრო_ მე-2 გაკვეთილი

დამკვირვებელი_ ირინე ნოზაძე

ბავშვის სახელი	პროსოციალური ქცევა (დახმარება, გაზიარება, თავაზიანი მიმართვა)	ანტისოციალური ქცევა (ტკივილის მიყენება, დამამცირებელი მიმართვა, უგულვებელყოფა, ტირილი, ყვირილი, გაკვეთილზე სიარული, ნივთების სროლა- მიმოზნევა)
1	1.1.1.1.	1.1.1.

2	1.1.	1.1.1.1.1
3	1.1	1.1.1.
4	1.1.1.	1.11
5	1.1	1.
6	1.1.	1.1.
7	1.1.1	1.1
8	1.1.1.	1.

დაკვირვების ფურცელი (სიხშირეების ცხრილი)

დღე_ 9.10.2018

დრო_ მე-3 გაკვეთილი

დამკვირვებელი_ ირინე ნოზაძე


ბავშვის სახელი	პროსოციალური ქცევა (დახმარება, გაზიარება, თავაზიანი მიმართვა)	ანტისოციალური ქცევა (ტკივილის მიყენება, დამამცირებელი მიმართვა, უგულვებელყოფა, ტირილი, ყვირილი, გაკვეთილზე სიარული,
----------------	---	--

		ნივთების სროლა- მიმოზნევა)
1	1.1.1.1.11	1.1.1.1.1
2	.1.1.1	1.1.1.1.1.1
3	1.1.	1.1.1.1
4	1.1.	1.1.1
5	1.1.1.	1.
6	1.1	1.1.1
7	1.1.	1
8	1.	1.1.

შევეცადე სიხშირის ფურცლის დაკვირვების შედეგები წამომედგინა სვეტოვანი დიაგრამით და პროცენტულად გამეზომა სამიზნე ჯგუფის ქცევის სიხშირეები.

დღე_ 1.10.2018


დრო_ მე- გაკვეთილი



დაკვირვების ფურცელი (სიხშირეების ცხრილი)


დღე_ 2.10.2018

დრო_ პირველი გაკვეთილი




დღე_ 3.10.2018

დრო_ მე-3 გაკვეთილი



დღე_ 4.10.2018


დრო_ მე-4 გაკვეთილი



დღე_ 5.10.2018


დრო_ მე-5 გაკვეთილი

დამკვირვებელი_ ირინე ნოზაძე




დღე_ 8.10.2018

დრო_ მე-2 გაკვეთილი



დღე_ 9.10.2018

დრო_ მე-3 გაკვეთილი



დასკვნა:

ზემოთ აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, მოხდა რეკომენდაციების შემუშავება პედაგოგებისათვის და ასევე სხვადასხვა ფსიქოლოგიური აქტივობების (მაგ: „ერთობლივი ნახატები“, „მისაღმება“, „კარგი საქმე, რომელიც დამამახსოვრდა“, „მეგობრობა“ და ა.შ.) შეტანა კლასში, რათა შეგვემცირებინა რთული ქცევები და გაგვეუმჯობესებინა ვითარება კლასში. აქტივობების მიზანი იყო თანამშრომლობის წახალისება, მოსწავლის ქცევის წესების დანერგვა, ერთმანეთის მიმართ დადებითი დამოკიდებულების გამოხატვის სწავლება, ემოციების მისაღები ფორმით გამოხატვის სწავლება, ჯგუფის დაახლოება, სხვა ადამიანების წარმატებების და სიხარულის გაზიარება, მეგობრობის წახალისება და ა.შ.

მიმდინარე დაკვირვებებმა გამოავლინა, რომ კლასში ვითარება საგრძნობლად შეიცვალა; ნაკლებად შეიმჩნევა მოსწავლეების მიერ ზემოთ აღნიშნული რთული ქცევების გამოვლენა, რამაც შესაბამისად გავლენა მოახდინა კლასში სიტუაციის უკეთესობისკენ შეცვლაზე. მოსწავლეები მაქსიმალურად არიან ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში.

4.4 კვლევის ვადები

აქტივობა	X	XI	XII	I	II	III	IV	V
საკვლევი პრობლემის შერჩევა	✓							
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	✓							
არსებული კვლევებისა და ლიტერატურის შესწავლა და ანალიზი	✓	✓						
კვლევის მეთოდების შერჩევა		✓	✓					
კითხვარის შერჩევა, დამუშავება		✓						
მოსწავლეთა ანკეტირება(თვისებრივი მეთოდი) შერჩევითი გამოკითხვა				✓				

სავარაუდო ინტერვენციების დაგეგმვა				✓				
ინტერვენციების განხორციელება					✓	✓	✓	✓
მოსწავლეთა ზეპირი გამოკითხვა (რაოდენობრივი მეთოდი) ინტერვენციების შემდეგ						✓	✓	✓
ინტერვენციების შედეგების ანალიზი								✓
შედეგების გაცნობა პრეზენტაცია კათედრის წევრებთან								✓

დასკვნა : საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, მას შემდეგ, რაც პრობლემის გააზრება მოხდა , განვსაზღვრე სამიზნე ჯგუფი , ვისთანაც შევძლებდი კვლევის განხორციელებას . შევარჩიე მეთოდები, რომელიც დამანახებდა როგორც პრობლემის გამომწვევ მიზეზებს , ასევე პრობლემის გადაჭრის გზებსაც.

კვლევის განსახორციელებლად კი შევიმუშავე კვლევის გეგმა, რომელიც გავწერე ვადებში, სადაც ზუსტად არის ჩამოყალიბებული კვლევის თითოეული ეტაპი და მათ შორის ლოგიკური კავშირი დაცულია.

თავი V ინტერვენცია

შემუშავებული სტრატეგიების გამოყენებით ოქტომბრიდან მაისის ჩათვლით მოსწავლეებს უტარდებოდათ გაკვეთილები კლასის მართვის ეფექტური სტრატეგიების გამოყენებით. რეგულარულად ვაკვირდებოდი მიზანმიმართულ სასწავლო პროცესს. სხვადასხვა ინტერვენციის გამოყენებით ხდებოდა მოსწავლეთა შედეგების შეფასება და ანალიზი.

5.1 ინტერვენციის დაგეგმვა-განხორციელება

ფოკუს ჯგუფების და ინტერვიუების შედეგად გამოკვეთილი ტენდენციების შესაბამისად, მივიღე გადაწყვეტილება ინტერვენციის დაგეგმვის შესახებ. მნიშვნელოვანი იყო გამეთვალისწინებინა, რომ დაგეგმილი ინტერვენციები ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში ყოფილიყო. სასწავლო პროცესში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება ორიენტირებული უნდა ყოფილიყო მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის ამაღლებასა და საგაკეთილო პროცესში კლასის მართვის პრობლემების მოგვარებაზე.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ინტერვენცია დაიგეგმა ორი მიმართულებით:

1. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება ქცევის წესებისა და მოვალეობების შესახებ;
2. ინგლისური გაკვეთილის გამრავალფეროვნება, მოსწავლეების მოტივაციის ამაღლების მიზნით.

ინტერვენცია I – „საკლასო კონსტიტუცია“

მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა შეიძლება შექმნან „საკლასო კონსტიტუცია“ ანუ კლასში ქცევის წესების და პროცედურების ერთობლიობა.

მოსწავლეებში საინტერესოდ წარიმართა „საკლასო კონსტიტუციის“ შედგენა. ამ პროცესის დროს მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამდნენ თავიანთ შეხედულებებს, თუ რა არის მათი აზრით მისაღები ქცევები, შესაბამისად, მსჯელობდნენ კლასის წესებსა და პროცედურებზე. მოსწავლეების ყურადღება მივმართე კონკრეტული წესების შესრულების მნიშვნელობაზე, იმ მიზეზებზე, თუ რატომ არ შეიძლება რაიმეს გაკეთება (მაგალითად, ადგილიდან პასუხის წამოძახება, ხმაური და სხვა) მოსწავლეები კლასის წესების შესრულების დადებით და დარღვევის უარყოფით შედეგებზე მსჯელობდნენ. ბოლოს მოსწავლეებს ვთხოვე, რომ მიეღოთ ის წესები, რომლებსაც მთელი კლასი ეთანხმებოდა

„ საკლასო კონსტიტუცია“ კედელზე თვალსაჩინო ადგილას გამოვაკარით, რადგან ადვილი ყოფილიყო მისი დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეებისათვის მითითება, თუ ქცევის რომელი პუნქტი დაირღვა. მასწავლებელი და მოსწავლეები შევთანხმდით სანქციებზეც, ანუ იმ პროცედურებზე, თუ რა უნდა გააკეთონ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე არღვევს კლასის მიერ ერთხმად მიღებულ წესებს.

არა მარტო სანქციების არსებობამ ხელი შეუწყო ქცევის წესების დაცვას, არამედ პოზიტიური წამახალისებლებიც. მაგ: მასწავლებლის მიერ ზეპირი უკუკავშირი, როგორცაა შექება, საკუთესო წესის დამცველის მოსწავლის აღიარება კლასის წინაშე.

მოსწავლეების მიერ ერთხმად მიღებული წესები და მისი შესრულების პროცედურები იძლევა იმის გარანტიას, რომ მთელი წლის განმავლობაში მასწავლებელმა შეინარჩუნოს დადებითი სასწავლო გარემო და სასწავლო პროცესი ნორმალურად წარიმართოს. (დანართი: მოსწავლეების მიერ შემუშავებული წესები).

ინტერვენცია 2 „ცერები მალა/დაბლა“

თუ მასწავლებელს სურს შეაფასოს, რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა სასწავლო საკითხი ან დასმული კითხვა, მას შეუძლია გამოიყენოს სწრაფი შეფასების ისეთი ინსტრუმენტი, როგორცაა ცერები მაღლა/დაბლა

.ცერების მაღლა აწევით შეუძლია გააგებინოს მასწავლებელს, რომ მათთვის ყველაფერი ნათელია, ხოლო ცერების დაბლა დაწევით „პირიქით“- ის, რომ მათთვის საკითხი გაუგებარია. თუ კითხვა აქვთ ან მასწავლებლის მხარდაჭერა სჭირდებათ ცერა თითები გვერდით უნდა გადახარონ.

როდესაც ინსტრუქციას აძლევ მასწავლებლებს დასაწყისში ყველა ამბობს, რომ კარგად გაიგო შესასრულებელი საკლასო დავალების პირობა, შემდეგ მუშაობის პროცესში უჩნდებათ ბევრი კითხვა, რაც თავისთავად ქაოსს იწვევდა და მასწავლებლისთვისაც რთული იყო კლასში ყველასთვის ერთდროულად მიეცა ახსნა განმარტება.

ცერების გამოყენებით ეს პრობლემა ძალიან მარტივად და სწრაფად მოგვარდა. მოსწავლეებს აღარ უწევდათ ხმაური და მე კი ვიღებდი უკუკავშირს მოსწავლეებისგან, რაც მეხმარებოდა დროის დაზოგვაში და ერთგვარი ორიენტირი იყო, თუ როგორ გამეგრძელებინა სამუშაო პროცესი. გარდა ამისა, დაკვირვებამ მაჩვენა, რომ ბავშვები არ ერიდებოდნენ ღიად გამოეხატათ დაბლა დაწვიათ ცერი თუ რაიმე ვერ გაიგეს ან შეკითხვა თუ ჰქონდათ.

ვცდილობდი შემექმნა უსაფრთხო გარემო და ყველა მოსწავლეს ეგრძნო, რომ თუ რაიმე შეცდომით ჰქონდა ან რაიმე პრობლემა იყო არ მორიდებოდათ და თამამად ემოქმედათ ინსტრუმენტის გამოყენებით. ამ ყველაფერმა ისინი უფრო გახსნილები და აქტიურები გახადა. გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა და ასევე სასწავლო შედეგები, რადგან ყველა მოსწავლის დავალების ხარისხს ვამოწმებდი კვირის ბოლოს და ვაძლევდი წერილობით უკუკავშირს.

ინტერვენცია 3

„სიტყვის რუკა“

ამ გრაფიკული ორგანიზატორის გამოყენებით მასწავლებელს (განსაკუთრებით, უცხო ენის) ძალიან სწრაფად შეუძლია შეაფასოს, თუ რამდენად კარგად ფლობს მოსწავლე ახალ სიტყვასთან ან ტერმინს ცნებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

მოსწავლეებში დიდი დაინტერესება გამოიწვია გრაფიკულმა ორგანიზატორმა „სიტყვის რუკა“, გაკვეთილის თემიდან აღებულ საკვანძო სიტყვის ირგვლივ მიმდინარეოს მსჯელობა, სიტყვის განმარტება, მისი მსგავსი და საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვების მოძებნა, ტექსტში აღნიშნული სიტყვა როგორ კონტექსტშია, თვითონ როგორ გამოიყენებს ამ სიტყვას. ყოველივე ხელს მიწყობს შევაფასო, თუ რამდენად კარგად ფლობს მოსწავლე ამა თუ იმ სიტყვის ირგვლივ ინფორმაციას, მოსწავლეს უმდიდრდება სიტყვის მარაგი, უმაღლდება თვითშეფასება.

ინტერვენცია 4

„სწავლა კეთებით“

მოსწავლეებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე და ფოკუს ჯგუფებზე გამოთქმლი მოსაზრებების შედეგებზე დაყრნობით, გამოიკვეთა რომ მოსწავლეებს სურთ , ინგლისური ენის გაკვეთილები უფრო სახალისოდ და საინტერესოდ მიმდინარეობდეს, სადაც ისინი თვითონ იქნებიან აქტიური პერსონები და არ შეითავსებენ მხოლოდ პასიური მსმენელის როლს.

დავგეგმე ინტერვენცია „სწავლა კეთებით „ არაფორმალური განათლების ფორმატით. დაგეგმილი სტრუქტურირებული გარემო შევცვალე არასტრუქტურირებული გარემოთი.

ზავშვები დიდი ინტერესით მოეკიდნენ „ კეთებით სწავლას“ თემაზე „ როგორ გამოვაცხოთ ბლინები“. მათ შეძლეს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში გამოყენებინათ, გაემდიდრებინათ ლექსიკა . ამ ინტერვენციამ ნათლად დამანახა, რომ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებამ მოსწავლეებს არაფორმალურ ბუნებრივ გარემოში დიდი სტიმული მისცა, უფრო გაბედულად მეტყველებდნენ კეთების დროს და არ ქონდათ შიში, რომ ლექსიკურ ერთეულები წარმოეთქვათ შეცდომით. ცოდნა სამყაროსთან უერთიერთობის დროს ყალიბდება . ნაკლებად გამოიკვეთა ქცევითი დარღვევები, ვიდრე ეს ხდებოდა სტრუქტურირებულ ი გაკვეთილის პროცესის დროს. „სწავლა კეთებით „ დროს მოსწავლეები სწავლობენ და მოქმედებენ საკუთარი ინტერესების მიხედვით

ინტერვენცია 5. „ თამაშის დრო“ (play time)

მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე და ფოკუს ჯგუფებზე გამოთქმული მოსაზრებების შედეგებზე დაყრნობით, გამოიკვეთა რომ მოსწავლეებს სურთ , ინგლისური ენის გაკვეთილი არ იყოს მოსაბეზრებელი.

გადავწყვიტე გამომეყენებინა ბრიტანეთის საბჭოს მიერ შემოთავაზებული სახალისო და ინტერაქტიული ანიმაციური აპლიკაცია . ზავშვების ინტერესიდან გამომდინარე , კვირაში ერთხელ ვარჩევდით ანიმაციურ სიმღერას ან მოთხობას ან ზღაპარს. თითოეულ ვიდეოს მოჰყვებოდა შემეცნებითი თამაში , რომლის მეშვეობითაც მოსწავლე ვარჯიშობდა ახალ სიტყვებსა და წარმოთქმაზე, რაც ინგლისურად საუბრის უნარს ავითარებს . აპლიკაციის პროგრესთან ერთად ზავშვები გზადაგზა წამახალისებელ ბონუსებსაც იღებდნენ.

5.2 ინტერვენციების შეფასების მეთოდები

ინტერვენციის შეფასებისთვის გამოვიყენე:

- სტანდარტიზებული ჩადრმავებული ინტერვიუ,
- ანკეტირება – ფოკუს ჯგუფებთან ,
- დაკვირვება
-

5.3 ინტერვენციების შედეგები

ინტერვენციის შეფასებისთვის შეიქმნა სპეციალური ანკეტები, რომელიც დაურიგდათ მოსწავლეებს. კითხვარი შედგებოდაა ღია და დახურული კითხვებისგან.

მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ ისინი აღარ დაარღვევენ ქცევის წესებს, მეგობრებთან და თანატოლებთან აღარ იჩხუბებენ და კარგად მოეპყრობიან ერთმანეთს. უფრო ადვილად შეძლებენ კონფლიქტის მოგვარებას. უფრო მეტიც, მოსწავლეები აღნიშნავენ , რომ თავის მეგობრებს

გააცნობენ , თუ როგორ უნდა მოიქცნენ გაკვეთილის მსვლელობისას და პატივი სცენ მასწავლებლის და სხვა მოსწავლეების უფლებებს.

გამოყენებულმა ინტერვენციებმა მოსწავლეებს აუმაღლათ პასუხისმგებლობა, გახდნენ უფრო აქტიურები,

თნამედროვე ტექნოლოგიების ჩართვამ დიდი როლი ითამაშა საგაკვეთილო პროცესის გამრავალფეროვნებაში. სასწავლო პროცესი მიდიოდა უფრო ნაყოფიერად , როგორც მოსწავლეებისათვის , ისე მასწავლებლისთვის. გრაფიკულმა ორგანიზატორმა კი მოსწავლეებს ასწავლა ძირითადი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის აღქმა, დამახსოვრება.

ქცევის წესების გათვალისწინებით , ვახდენდი მოსწავლის მიღწევების აკადემიურ განმტკიცებას. კონსტრუქციულად მივუთითებდი , რისი გაუმჯობესება სჭირდება. ამით ვახალისებდი მათ, რომ აეღოთ პასუხისმგებლობა საკუთარ სწავლაზე. ყოველივე კი უადვილებდათ მათ სასწავლო მიზნების დაძლევას, რაც კარგად აისახა საბლოოდ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში და საგნისადმი ინტერესის გაზრდაში.

თავი VI კვლევის შედეგები

კვლევის განმავლობაში გამოყენებულმა ანკეტირებამ გვიჩვენა, რომ მასწავლებლის მიერ განხორციელებულმა ინტერვენციებმა (სწავლა კეთებით, სახალისო თამაშები, ქცევ ის წესები, სახალისო ანემაციური აპლიკაციები) და მრავალფეროვნმა რესურსებმა , მართლაც რომ ხელი შეუწყო კვლევის დასაწყისში დასახული მიზნის მიღწევას. შემცირდა ქცევის დარღვევის სიხშირე, თითქმის აღმოიფხვრა.

გაიზარდა მოტივაცია შესასწავლი საკითხების მიმართ, მორცხვი დაგაუბედავი მოსწავლეები გახალისდნენ და თამამდ აფიქსირებდნენ თავიანთ მოსაზრებებს, გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა და მზაობა საგაკვეთილო პროცესში შესასწავლი საკითხების , რაც თავისთავად უზრუნველყოფს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, ე.ი ჩვენი მთავარი მიზანი მიღწელია.

თავი VII მიგნებები, რეკომენდაციები, ნაკლოვანებები

კვლევის მიგნებად მიმაჩნია, რომ კლასის მართის პრობლემებთან დაკავშირებულმა შესწავლამ და ინსტრუმენტების სწორი გამოყენება ნამდვილად დადებითად აისახება სასწავლო პროცესზე. დამლეულ იქნა შიში და გაუბედაობა, გაუმჯობესდა ქცევის წესები, ასევე კვლევამ გვიჩვენა, რომ ერთიდაიგივე მეთოდების გამოყენება ძალიან ბეზრდებათ მოსწავლეებს და საჭიროა პერიოდულად ვცვალოთ და გავამრავალფეროვნოთ ინსტრუმენტების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში. ყოველ ახალ ინსტრუმენტს

დიდი ინტერესი, მოტივაცია და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება მოჰყვება. აღნიშნული კვლევის საფუძველზე, მასწავლებლებს შემოიძლია მიეცე რეკომენდაცია, რომ მუდმივად გამოყენებული მეთოდები და აქტივობები იწვევს მოსწავლეებში მიჯაჭვულობას, ამიტომ ისინი უნდა იქნას გამოყენებული ზომიერად და მონაცვლეობით. ასევე, აუცილებელია განმავითარებელი შეფასების გამოყენება მოტივაციის ამაღლების მიზნით (ცერები მაღლა- დაბლა)

კვლევა წარიმართა გეგმის შესაბამისად. მნიშვნელოვანი ხარვეზები და ნაკლოვანებები არ გამოკვეთილა. კვლევის მიზნების მიღწევა არ გართულებულა გამოკვეთილა. თუმცა შესაძლებელი იყო, რომ კვლევა ჩამეტარებინა ორ პარალელურ კლასში, რომელიც მოგვეცემა საშუალებას მონაცემთა შედარების. ვფიქრობ, ეს უფრო საინტერესოს გახდოდა კვლევას.

გამოყენებული ლიტერატურა

- ❖ დიმიტრი უზნაძე, *სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია*. თბილისი, 2005.
- ❖ გოგიჩაიშვილი თამაზ, *განვითარების ფსიქოლოგია*. თბილისი, 2005.
- ❖ მარზანო, რ., ი. მარზანო და დ. ფიქერინგი. 2009. *კლასის მართვა: კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები მასწავლებლებისათვის*. თბილისი: სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.
- ❖ პროგრამა „სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება“, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2013. http://tpdc.ge/?action=page&p_id=619&lang=geo (10.06.2014)
- ❖ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება #79/ნ „მოსწავლეთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების შესახებ
- ❖ ნეფარიძე, თეონა. *“კლასის მართვის სტრატეგია“*, ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“, 5 ივნისი, 2012, http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=62 (11.06.2014)
- ❖ ჯოანა კასინ ლემლექი, 2010. *„სასწავლო გეგმა და მეთოდები დაწყებითი და საშუალო კლასებისათვის“*, სსიპ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების

ცენტრი, თბილისი: საქართველოს მაცნე

- ❖ სიმონ ჯანაშია, 2008. „სახელმძღვანელო განათლების სპეციალისტებისათვის“, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი
- ❖ ტყემალაძე, რ., ნ. დალაქიშვილი, ქ. თოფაძე, თ. პაჭკორია, თ. ბუწაშვილი. 2008. *სწავლება და შეფასება*. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი
- ❖ პეტერ ბ. ვაისი, ჰოლი კრაიდერი, ელენა ლოპესი, 2010. „*განათლების მუშაკთა მომზადება ბავშვების სწავლის პროცესში ოჯახების ჩასართავად*“, სსიპ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი: დიოგენე
- ❖ ბრიტანეთის საბჭო საქართველოში. ანემაციური აპლიკაცია Wayne K Hoy, Cecil G Miskel. Educational Administration: Theory, Research, and Practice. McGraw-Hill Humanities Social, 2004.
- ❖ Zeichner, Ken. "Educational Action Research." In Handbook of Action Research: Participative Inquiry and Practice, by Peter Reason and Hilary Bradbury (eds.), 273-283. London: Sage Publications, 2001.
- ❖ Karlsen, Jan Irgens. "Action Research as a Method: Reflections from a Program for Developing Methods and Competence." In Handbook of Action Research: Participative Inquiry and Practice, by Peter Reason and Hilary Bradbury (eds.), 143-158. London: Sage Publications, 2001.
- ❖ Passmore, William. "Action Research in the Workplace: The Socio-technical Perspective." In Handbook of Action Research: Participative Inquiry and Practice, by Peter Reason and Hilary Bradbury (eds.), 38-47. London: Sage Publications, 2001
- ❖ ბრიტანეთის საბჭო საქართველოში.

ინგლისური ბავშვებისთვის : თამაშის დრო (ასაკი:11-16)

- **LearnEnglish Kids: Playtime**
- English songs, stories & games
- ❖ [British Council](#)

მასწავლებელი: ირინე ნოზაძე.

კვლევის შედეგების გაზიარების რეფლექსია

კვლევის დასრულების შემდეგ, მოვახდინე კვლევის შედეგების გაზიარება კათედრის წევრებთან. როდესაც მოსამზადებელი სამუშაო დავასრულე, კვლევის ელექტრონული ვერსიები გადავგზავნე ელექტრონულ ფოსტაზე, დეტალურად მასალის გაცნობის მიზნით. კვლევის გაცნობისათვის მიეცათ გარკვეული პერიოდი.

კოლეგები ინფორმირებულნი იყვნენ პრეზენტაციის ჩატარების თარიღზე და მითითებულ დროს მოხდა კვლევის წარდგენა და დეტალური განხილვა. კოლეგები აქტიურად ჩაერთვნენ ამ პროცესში და მიეცათ საშუალება საკვლევი საკითხის ირგვლივ საკუთარი მოსაზრებები დაეფიქსირებინათ წინასწარ შედგენის უკუკავშირის კითხვარში.

საუბრისას აღმოჩნდა, რომ კოლეგებს გაუჩნდათ სურვილი კვლევის დროს გამოყენებული ინტერვენციების დანერგვის საკუთარ კლასებში საგანმანათლებლო მიზნით, რაც დაეხმარებათ მოსწავლეებს სწავლა-სწავლების პროცესის წარმატებით წარმართვისათვის.

დანართები

თბილისის კერძო სკოლა „ინტელექტი“

დანართი 1. სადისკუსიო გეგმა ფოკუს ჯგუფისათვის

მასწავლებლები და მშობლები:

1. არსებობს თუ არა კლასის მართვის პრობლემები II კლასში?

2. რა იწვევს კლასის მართვის პრობლემებს?

მოსწავლეები:

1. როგორი ურთიერთობა გაქვთ მასწავლებლებთან?
2. მასწავლებელი გამოარჩევს თუ არა მომსწავლებს?
3. იყენებთ თუ არა საგაკვეთილო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიებს?
4. აზარებთ თუ არა მშობლებს გაკვეთილებს? (კი/არა - რატომ?)

დანართი 2. კითხვარი ინტერვიუსათვის

კლასი _____

მასწავლებელი: _____

1. მოგწონთ თუ არა ინგლისური საგნის სწავლება?
2. შეიძულებით თუ არა გაკვეთილის გეგმას?
3. როგორ ფიქრობთ საინტერესოა თუ არა თქვენს მიერ ჩატარებული ინგლისური გაკვეთილი?
4. როგორი ურთიერთობა გაქვთ თქვენს მოსწავლეებთან?
5. როგორ ფიქრობთ მეორე კლასელების ნეგატიურ რეაქციას რა იწვევს? რითია გამოწვეული მათი დემოტივაცია?
6. გაკვეთილის დაგეგმვისას ითვალისწინებთ მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს?
7. რა ტიპის აქტივობებს იყენებთ ყველაზე ხშირად გაკვეთილზე?
8. ინგლისური გაკვეთილზე იყენებთ თუ არა თანამედროვე ტექნოლოგიებს? ჯგუფური დავალებები?
9. იყენებთ თუ არა წახალისების ფორმებს? და რა ტიპის წახალისებაა?
10. იყენებთ თუ არა დასჯის მეთოდებს? რომელს?
11. თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოთ გაკვეთილებზე იმისათვის, რომ მოსწავლეებს მოეწონოთ გაკვეთილი?

დანართი 3

თბილისის კერძო სკოლა „ინტელექტი“

ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან

ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდნენ:

- მეორე კლასის 13 მოსწავლე

მიზანი:

- საკვლევლი საკითხის შესახებ მოსწავლეების დამოკიდებულების განსაზღვრა.

სადისკუსიო გეგმა:

1. როგორი ურთიერთობა გაქვთ მასწავლებლებთან?
2. მასწავლებელი გამოარჩევს თუ არა მოსწავლეებს?
3. იყენებთ თუ არა საგაკვეთილო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიებს?
4. აბარებთ თუ არა მშობლებს გაკვეთილებს? (კი/არა - რატომ?)

დანართი 4. ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი მოსწავლეებისათვის

თბილისის კერძო სკოლა ინტელექტი

კლასი _____

სქესი: გოგო ბიჭი

- მოგწონთ თუ არა ინგლისურის საგნის სწავლა?
- როგორ ფიქრობთ, საინტერესოა თუ არა ინგლისურის გაკვეთილი?
- როგორი ურთიერთობა გაქვთ ინგლისურის მასწავლებლებთან?
- როგორ ფიქრობთ, ინგლისურის მასწავლებელი გაკვეთილის დაგეგმვისას ითვალისწინებს თუ არა მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს?
- ინგლისურისგაკვეთილზე იყენებთ თუ არა თანამედროვე ტექნოლოგიებს?
- ინგლისურისხელოვნების გაკვეთილზე გაქვთ თუ არა ჯგუფური დავალებები?
- რამდენად ხშირად იყენებს ინგლისურის მასწავლებელი წახალისების ფორმებს?
- წახალისების რა ფორმებს იყენებს მასწავლებელი?
- აბრაზებთ თუ არა ინგლისურის მასწავლებელს?
- რამდენად ხშირად იყენებს ინგლისურის მასწავლებელი დასჯის ფორმებს?

- თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს გაკვეთილებზე მასწავლებელმა იმისათვის, რომ თქვენ მოგეწონოთ გაკვეთილი?

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!

დანართი 5. ინტერვენციის შეფასების კითხვარი

თბილისის კერძო სკოლა „ინტელექტი“

კლასი _____

სქესი: გოგო ბიჭი

1. გქონდათ, თუ არა ინფორმაცია ქცევების წესების დარღვევების და მათი პროცედურების შესახებ?
 დიახ არა ნაწილობრივ
2. გაკვეთილზე მასწავლებელმა გაითვალისწინა თუ არა თქვენი ინტერესები ქცევის წესების შედგენისას?
 დიახ არა ნაწილობრივ
3. დაასახლეთ, რომელ ქცევას თვლით ყველაზე მეტად მისაღებად?


4. როგორ დაგეხმარებათ მიღებული ცოდნა მასწავლებლებთან ურთიერთობისას?

5. როგორ დაგეხმარებათ მიღებული ცოდნა თქვენს თანატოლებთან ურთიერთობისას?

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის !

თბილისის კერძო სკოლა ინტელექტი

დანართი 7. გრაფიკული ორგანიზატორი. „სიტყვის რუკა“



დანართი 8.

ქცევის წესები

1. გაკვეთილზე ვიყო აქტიური და საზრიანი!
2. თუ რაიმეს თქმა მინდა, ხელი ავიწიო !
3. პატივი ვცე სხვების აზრს და მოვუსმინო!
4. სხვას ისე მოვექცე , როგორც მინდა რომ მე მომექცნენ!
5. ამ კალსში ყველა ძვირფასია, ვიმეგობროთ ყველასთან!